№ 2876
კვირა,
31 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2876
კვირა,
31 ივლისი

ფასი გაზეთის: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური **გაზეთი „ცნობის ფურცელი"** ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 10 თვით 5 მან. 75 კაპ. 11 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფული გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ თან **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

რომელიც ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

სამშაბათს, 2 აგვისტოს, 12 საათზედ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ევტიხი ბესარიონის ძის მამინაიშვილისა,

რისაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ გარდაცვალებულის დედა, ძმა და და. (2—303.—2)

დაბა სურამში გარდაიცვალა

სოფიო როსტომის ასული მურმანიშვილისა,

რისაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **იოსებ მურმანიშვილი** და **რევაზ მიხეილის ძე თარხნიკიძე.** დაკრძალვა მოხდება 31 ივლისს. (103 1—1).

წელიწადი — **სანატორიუმი** — მეორე

4100 ფუტის სიმაღლეზე — **საზაფხულო სამყოფი** — 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება წერილობით ბორჯომის სანატორია ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. (0—12).

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანცი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მეიდანში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 **მანეთისა.**

ძველი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამაზე [illegible] დანიშნოს, რასაც იგი გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციას გაუძლებს.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—70)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ თუ ისინი, ვისზედაც ირიცხება ქალაქის **დასაფასებელ გადასახადის ნედოიმკები,** ფულს არ შეიტანენ ამ წლის 10 აგვისტომდე, ქალაქის გამგეობა იძულებული იქნება ფულის შესაკრებად მიმართოს სასტიკ ზომას. (ნ. 2—2)

„ქართულ დრამის ამხანაგობის გამგეობა" ამით აცხადებს, რომ **კვირას, 31 ივლისს** დილის 10 საათ. დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია ამხანაგობის წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. 1904/5 წლის სეზონის ანგარიშის განხილვა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ლიკვიდაცია ამხანაგობისა. (ნ. 3—3)

ზაფხული რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მთაწმინდის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.

ორი ბლიუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო .	. 50 კ.
სამი ბლიუდი, არყით ან ღვინით	. 75 კ.
ოთხი ბლიუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით	1 მ.

ყოველ დღე სადილი—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის აუკრავს მუზიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადის ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—6).

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კირპიჩნის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 15.

ექიმი

ვ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულ ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 4-ნ-დან—8 საათამდე. (30—6.—7)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—9. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

29 ივლისი

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. მთავარი მოთხოვნებია—სამხედრო ხარჯის ანაზღაურება და სახალინის დათმობა. რუსის რწმუნებულთ განაცხადეს, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნიათ ამ პირობების მიღება, მაგრამ ის ფაქტი, რომ სიტყვა კონტრიბუცია (იდომნიტე) შეცვლია სიტყვებით „ხარჯის ანაზღაურება" (რემბურსემან), როგორც ეტყობა, იმედს იძლევა საბოლოოდ შეთანხმებაზე. დანარჩენი მოთხოვნები—ლიაოდუნზე საიჯარო უფლებების დათმობა, ამნაირივე უფლება პორტ-არტურსა და დალნიზე. მანჯურიის გაწმენდა, ჩინეთისათვის ყველა იმ უპირატესობათა დაბრუნება, რომელნიც რუსეთმა წაართვა მას, ღია კარების პრინციპის აღიარება, იაპონიისათვის ხარბინიდან გზის დათმობა, იაპონელებისათვის ნება-რთვის მიცემა ვლადივასტოკის ჩრდილოეთის წყლებში თევზაობისა, იაპონიის სასარგებლოდ ნეიტრალურ წყლებში დაჭერილ სამხედრო გემებზე უარის თქმა და, ბოლოს, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის სამხედრო ძალის განსაზღვრა. როცა იაპონიის რწმუნებულებს ჰკითხულობდნენ, აღმოჩნდა, რომ ყველა შეტანილი ცვლილებანი მიკადომ უნდა დაამტკიცოს, მაშინ როდესაც რუსეთის რწმუნებულთ ნება აქვთ, საბოლოოდ მიიღონ პირობები. ვიტტემ სთქვა, რათა თანასწორობა სუფევდეს ორივე მხარეს შორის, რუსები უარს იტყვიან პირდაპირ, შეუკითხავად ხელ-შეკრულობაზე ხელის მოწერის უფლებაზე. რწმუნებულნი რომ გადასცეს ერთმანეთს, გადასწყვიტეს, რომ ბარონი კომურა დაუყოვნებლივ წარუდგენს ზავის პირობებს. ვიტტემ 48 საათის განმავლობაში აღუთქვა პასუხის მიცემა. დადგენილ იქნა, რომ ყოველივე ოფიციალური ცნობა ქაღალდზე იქნას დაწერილი, რუსის დელეგაციის სეკრეტარებმა შიფრიანი დეპეშა გაჰგზავნეს პეტერბურგში, საცა აცნობეს იაპონიის პირობები. ვიტტემ ამ დეპეშაში თავისი საკუთარი აზრიც აღნიშნა პირობების შესახებ. სანამ რუსების რწმუნებულთ პირობებს გადასცემდა, კომურა არწმუნებდა ვიტტესა და როზენს, პირობები ზომიერია და შეიძლება მათი მიღება ხელშეკრულობების საფუძვლადო. ვიტტემ ვრცელ პასუხში იმედი გამოსთქვა, რომ მტკიცე ზავი ჩამოვარდებაო, ორივეს გულწრფელმა სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება იქონიეს.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. რუსებმა, პირობების მიღების შემდეგ, მოუწოდეს დელეგატებს და მთელი საღამო გაატარეს პირობების განხილვაში. ვიტტემ აღნიშნა ომის გამომწვევი მიზეზები. საუზმეზე ვიტტე და კომურა გვერდი-გვერდზე ისხდნენ. მათ შორის ძლიერ გულითადი დამოკიდებულება დამყარდა, რაც დღემდე არ იყო.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. როგორც რომ ვიტტემ და როზენმა გადახედეს ზავის პირობები, მაშინათვე გაჰგზავნეს ავტომობილი რუსის დელეგატებისთვის. საუზმის შემდეგ რწმუნებულთ და დელეგატებმა განიხილეს პირობები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რჩევამ გაცილებით გააძლიერა იმედი მოლაპარაკების კარგად წასვლისა.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი („დეილი ტელეგრაფი"). თანახმად იაპონელების რწმუნებულებისა, დელეგატების მიერ შეტანილი ცვლილებანი იმპერატორმა უნდა დაამტკიცოს. იაპონიის გრამოტების ერთად ერთი ასლი, რომელზეც ხელი უწერია იმპერატორს, დაწერილია იაპონურად.

პორტ-სმუტი. იაპონელების პირობების თანახმად, ხარბინ-ვლადივასტოკის რკინის გზა რუსების ხელში რჩება.

ტოკიო. იაპონია იწვევს მსურველთ იჯარით აიღონ სახალინის სათევზაო ადგილები.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. რუსების რწმუნებულების პასუხი ზავზე ფაქტიურად უკვე მზადაა. ხვალ ჩააბარებენ მას ბარონ კომურას. ვიტტე დილა ადრიან იწყებს მუშაობას და არჩევს პეტერბურგიდან მოსულ შიფრიან დეპეშებს.

პეტერბურგი. ტყუილია ის ხმები, ვითომც 30 ივლისს გამოაქვეყნებენ ხალხის წარმომადგენლობისას. გამოაქვეყნებს უფრო გვიან [illegible].

ბერლინი. როგორც [illegible] ედუარდს მომავალ კვირას შეხვდება მაინის ფრანკფურტზე.

ოსტროგოჟსკი, 29 ივლისი. კნეინა იუსუპოვის მამულის აწიოკების შესახებ დანიშნულმა სესიამ ხარკოვის სამოსამართლო პალატისამ გაარჩია საქმე და გაამართლა 15 კაცი, ერთს-კი გადაუწყვიტა საპყრობილე ერთის წლით, ერთს—8 თვით. 4-ს 4 თვით, 5-ს წელიწად-ნახევრით ტუსაღთა როტაში გაგზავნა, უფლებათა ჩამორთმევა და 8 თვით საპატიმროში ჩამწყვდევა-კი 32 კაცს.

ვარშავა, 29 ივლისი. ობერ-პოლიცმეისტერი აცხადებს, ვინც დღე და ღამის განმავლობაში არ აცნობებს მდგმურის გადმოსვლას, ვინც ცრუ ფორმას ატარებს, ან სხვა სახელს დაირქმევს, დაჯარიმებულ იქნება 500 მან. ან 3 თვით ჩაამწყვდევენ სატუსაღოში.

ტოკიო. ჩინეთში საგულისხმო არეულობა დაიწყო, ამბობენ, შეკანის ცნობით, ხუნანის პროვინციაში ჩინელების ბრბომ 12 კათოლიკე მოჰკლა და დასწვა ფრანგების ბევრი მისიონერი. საფრანგეთმა სერიოზული მიწერილობა გაუგზავნა ჩინეთს.

თეირანი, 29 ივლისი. ქერმანში არეულობაა, უდევნიან შეიქს მშვიდობიან სექტის წარმომადგენელთ გამო მათს ფანატიკურ ქადაგებების გავლენით. მთელს მეშხედში გაჰგზავნიან.

კიევი. უნივერსიტეტში ათასი თხოვნა შემოვიდა სტუდენტებისაგან უეგზამენოდ გადაყვანის შესახებ.

ნოვოროსიისკი. 29 ივლისი. პორტში მუშაობა განახლდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

29 ივლისი.

პორტ-სმუტი, 28 ივლისი. არწმუნებენ, ვიტტეს დეპეშა მოუვიდა პორტ-სმუტში ხელმწიფე იმპერატორისა, რომელშიაც აკრძალულია სამარცხვინო პირობების მიღება.

ნიუ-კასტლი, 28 ივლისი. პორტ-სმუტის კონფერენციაში ხუთ-ხუთი კაცია ორივე მხრივ. შტატების მთავრობამ ოთხის თვით დააბინავა იტალიელების სამხედრო ორკესტრი კაზარმაში. ეს ორკესტრი იმ სასტუმროში უკრავს, საცა რწმუნებულნი სცხოვრებენ. აქედამ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კონფერენცია დიდს ხანს არ გასტანს.

ტოკიო. რუსებმა მიატოვეს იმპერატორის ნავთ-სადგური, რომელიც იაპონელებმა დაიპყრეს.

პორტ-სმუტი, 28 ივლისი. იაპონიის მოთხოვნები, რომელნიც პატიოსან სიტყვებს ქვეშაა გადაცემული, რომ არ გამოაქვეყნებენ, არაფერს შეიცავს ისეთს, რაც შეუძლებლად ხდიდეს ზავის ჩამოგდებას. იაპონელებს ისე არ დაუყენებიათ კითხვა, რომ უსათუოდ ან მიიღება, ან უარის თქმაო.

პარიზი. „გოლუა"-ს რედაქტორს უთხრა მურავიოვმა, რომ ნამდვილ კარგადაა არჩეული რწმუნებულებიო. თუ მისსიამ ვერ მიაღწია მიზანს, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ იაპონელების პირობები ძლიერ დიდია. მურავიოვს ძლიერი სურვილი აქვს ზავის ჩამოგდებისა, მაგრამ რუსეთი თავის დღეში არ დასთანხმდება დამამცირებელ პირობებსო—სთქვა მან.

პარიზი. რუსის რწმუნებულთ გადასწყვიტეს, რომ პირობები არ შეატყობინონ პრესსას. ერთმა პორტ-სმუტში მყოფმა, კარგად გაგებულმა რუსმა აცნობა „მატენ"-ის კორესპონდენტს, რომ მან ცუდი შთაბეჭდილება გამოიტანა კონფერენციიდან და ფიქრობს, რომ მოლაპარაკება გაგრძელდებაო. კონტრიბუციის შესახებ ის ამბობს, რომ რუსეთი თანახმაა პრინციპიალურად სამხედრო ხარჯის ანაზღაურებაზეო.

კობე. „დეილი ექსპრეს"-ი იუწყება, რომ იაპონიის საზღვაო ექსპედიციას ოხოტსკის ზღვაზე ნამდვილად ზღვის ძალთა ჰყრა აქვს მიზნათო.

ნიუ-კასტლი, 28 ივლისი. 28 ივლისს დილის 10 ს. მოლაპარაკება დაიწყო. ვიტტე ლაპარაკობს ფრანგულად. კომურა იაპონურად; თარჯიმანი სთარგმნიდა მისს სიტყვებს, ამიტომ ვიტტემ რუსულად დაიწყო ლაპარაკი, კომურამ სთქვა: „მაქვს პატივი, გადმოგცეთ თქვენ, ბ. მთავარ-რწმუნებულო, მოთხოვნები, რომელიც გადმომცა მე მისმა უდიდებულესობამ მიკადომ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ". ვიტტე, კომურასთან ერთად, წამოდგა და გამოართვა მას ფრანგულად და იაპონურად დაწერილი პირობანი თეთრ ყდაში გაკეთებული, რის შემდეგ მან განუცხადა, რომ რუსების დელეგატები განიხილავენ მოთხოვნებს და მისცემენ წერილობით პასუხს. ვიტტეს წინადადება კონფერენციის გადა- [illegible] დელეგატებმა ორი საათი დაჰყვეს კიდევ.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. რუზველტს, მორგანსა და ჩინეთის დესპანს სჯა-ბაასი ჰქონდათ ხანკოუს რკინის გზაზე.

ვილნო. ვილნოსთან დაიჭირეს უცნობი ქალი, ასე 25 წლისა; გაჩხრიკეს, უნახეს იაპონელ აფიცრის სურათი და პროკლამაცია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინის დაპყრობა. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ბერლ. ლოკ. ანცაიგერ"-ს 22 ივლისის თარიღით: 17 ივლისს სახალინის სამხედრო გუბერნატორმა და რუსის ჯარის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ლიაპუნოვმა პარლამენტიორი გაუგზავნა იაპონიის ჯარის უფროსს და გამოუცხადა: რადგან ჭრილობების შესახვევი მასალა გვაკლია, ჩვენის დაჭრილების მოვლა არ შეგვიძლიან და ამიტომ კაცთ-მოყვარეობა მაიძულებს, სამხედრო მოქმედების შეწყვეტა გთხოვოთო. იაპონელებმა მოითხოვეს, ყველა სამხედრო სამზადისი, კარტები და სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის პლანები ჩაგვაბარეთო. რუსებმა ეს მოთხოვნილება აასრულეს და მეორე დღეს, რუსის ჯარი—3,200 სალდათი, 70 აფიცერი და ერთი გენერალი ტყვედ დაჰნებდნენ იაპონელებს. („რ. ს.").

ასე დასრულდა ამ ვეება და მდიდარ კუნძულის დაჭერა. იაპონიის ფლოტი და ჯარი ჩვეულებრივის თანხმობით მოქმედებდნენ, ერთმანეთს ხელს უწყობდნენ და რუსის ვეება კუნძული სულ სამ კვირაზე აიღეს. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი დაწვრილებით აწერს სახალინის დაპყრობას. მიმომხილველი სწერს:

„იაპონელებმა სახალინის დასაჭერად სულ ორი სარეზერვო დივიზია ჯარი გადაიყვანეს, ანუ 30 ათასი კაცი: მეშვიდე სარეზერვო დივიზია გენ. ტაკენაუჩის უფროსობით კორსაკოვსკში გადავიდა და მე-4 სარეზერვო დივიზია გენ. ოკის უფროსობით ალექსანდროვსკში გადავიდა. ორივე დივიზიის, ანუ სახალინის არმიის უფროსად გენ. ხარაგუჩია დანიშნული. პირველად იაპონელებმა გენ. ტაკენაუჩის მე-7 დივიზიის ნაწილი გადაიყვანეს, და 25 ივნისს ბრძოლით კორსაკოვსკის პოსტი დაიჭირეს და მაშინვე დივიზიის მომეტებული ნაწილიც გადავიდა კორსაკოვსკში. რუსებმა უკან დაიხიეს, გენ. ტაკენაუჩი ფეხდაფეხ დაედევნათ. იაპონიის მოწინავე რაზმმა რუსის რაზმი სოფ. სოლოვიევკის (კორსაკოვსკის დასავლეთით) პოზიციიდან განდევნა. რუსის რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ალექსინსკი იძულებული იყო ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ დაეხია სოფ. ვლადიმიროვსკისაკენ. გენ. ტაკენაუჩი მხნედ განაგრძობდა დევნას, 28 ივნისს რუსის რაზმს სოფ. ვლადიმიროვსკასა და ელანს შუა მოეწია და შეებრძოლა. გენ ტაკენაუჩიმ ორ დღეს სულ შემუსრა რუსის რაზმი—29 ივნისს იაპონიის ქვეითა ჯარმა შეტევით აიღო რუსის პოზიციები და პოლკოვნიკმა ალექსინსკიმ საჩქაროდ უკან დაიხია, მრძოლის ველზე 150 მოკლული და დაჭრილი რუსი დარჩა. იაპონელებმა 80 ტყვე დაიჭირეს, იმათ შორის ერთი აფიცერი, და მთელი რუსის არტილერია ჩაიგდეს ხელში: 4 ზარბაზანი და ერთი ტყვიის მტყორცნელი. პოლკოვნიკმა ალექსინსკიმ მაუკისაკენ დაიხია (სახალინის დასავლეთ ნაპირას, კორსაკოვსკიდან 80 ვერსტზე) და ტყიან და ჭაობიან ადგილას გამაგრდა პოზიციებზე, მაგრამ იაპონელებმა რუსებს მოსვენება არ მისცეს: 2 ივლისს გენ. ტაკენაუჩი მაუკისთან გაჩნდა, რუსებს შეებრძოლა და მთელი რაზმი გაანადგურა. ამ ბრძოლის ამბავი მხოლოდ იაპონელების ცნობებიდან შევიტყეთ, რადგან რუსებს ამბის გამომგზავნიც აღარ დარჩათ. იაპონელებმა წრე შემოავლეს რუსის რაზმს და ძალზე დაამარცხეს: პოლკოვნიკი ალექსინსკი 13 აფიცრით და 367 სალდათით დაატყვევეს. რაზმის ნაშთი გაიფანტა და კუნძულის შუაგულში მიიმალა, რადგან სანაპირო გზა დუესაკენ იაპონელებს ეჭირათ. სულ სამ ბრძოლაში (კორსაკოვსკთან, ვლადიმიროვსკთან და მაუკისთან) იაპონელებმა 462 ტყვე, 6 მძიმე და 4 საველე ზარბაზანი და 3 ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდეს ხელში. ვლადიმიროვსკასთან იაპონელებს 67 კაცი დააკლდათ, მაუკასთან რა ზარალი მოუვიდათ, ამაზე ცნობა არ მოსულა. 27 ივნისს იაპონიის ექვსმა სამხედრო გემმა ჯარი გადაიყვანა ნატოროს კონცხზე (სახალინის სამხრეთით, ლაპერუზას სრუტეში), და ამ ჯარმა იქ მდებარე რუსის სოფელი დაიპყრო. 2 ივლისს იაპონიის სამხედრო გემებმა სოფ. [illegible], ზარბაზანი დაუშინეს და შემდეგ ეს სოფელიც დაიჭირეს. ივლისის პირველ ნახევარში იაპონელებმა კიდევ ერთი სოფელი დაიჭირეს და ამნაირად გენ. ტაკენაუჩიმ სახალინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის დაპყრობა დაასრულა.

11 ივლისს იაპონელები სახალინის ჩრდილოეთ ნაწილის დაპყრობას შეუდგნენ. ამ დღეს იაპონელებმა პრიმორის ოლქის ნაპირას დეკასტრი დაიჭირეს და იმავე დროს ვიცე-ადმირალ კატაოკის ესკადრამ სატრანსპორტო გემები მიიყვანა სახალინის აღმოსავლეთ ნაპირას ალკორას ბუხტასთან, ალექსანდროვსკის პოსტიდან 8 ვერსტზე, ჩრდილოეთით. იაპონიის ნაღმიანმა გემებმა ზარბაზანი დაუშინეს რუსის პატარა რაზმს, ნაპირებიდან განდევნეს და შემდეგ გენ. ოკის მე-4 სარეზერვო დივიზიის ნაწილი დაუბრკოლებლივ გადავიდა ალკორაში. გენ. ოკი მაშინვე წინ გაქანდა, რუსის რაზმს დაედევნა და იმავ საღამოს ალექსანდროვსკთან გაჩნდა. აქ გენ. ლიაპუნოვი 3 ბატალიონით, ერთის ბატარეით და გადასახლებულთა რამდენისამე რაზმით ეცადა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ვერას გახდა. იაპონიის კრეისერებმა ზარბაზანი დაუშინეს და ალექსანდროვსკის სანაპირო ფორტი გააჩუმეს. ამის შემდეგ იაპონელთა რაზმი ალექსანდროვსკის სამხრეთით გადავიდა და გენ. ლიაპუნოვის მარცხენა ფრთას მოუარა გვერდიდან. გენ. ლიაპუნოვის რაზმს დიდი ზარალი მოუვიდა, და იძულებული იყო, ალექსანდროვსკისა და დუეს პოსტებიდან კუნძულის შუაგულისაკენ დაეხია. იაპონელებმა აქაც 200 ტყვე ჩაიგდეს ხელში, იმავე დღეს, 11 ივლისს იაპონიის ორმა ნაღმოსანმა ჯარი გადაიყვანა პოგობის კონცხზე, თათრის სრუტეში, ამურის შესართავის პირდაპირ და ამით საბოლოოდ მოსჭრა ზღვის გზა სახალინსა და ნიკოლაევსკს შუა (ამ ადგილას თათრის სრუტეს სულ 8 ვერსტი განი აქვს). 12 ივლისს იაპონელებმა რუსების მიერ მიტოვებული დუეს პოსტი დაიჭირეს და სახალინის მთელი დასავლეთი ნაწილი ხელში ჩაიგდეს. გენ. ლიაპუნოვმა სოფ. რიკოვსკისაკენ დაიხია. სოფ. რიკოვსკი უდიდესი სოფელია სახალინის შუა-გულში, 50 ვერსტზე მდებარეობს დუედან, აღმოსავლეთით და ამდენსავე მანძილზე სახალინის აღმოსავლეთ ნაპირიდან. 12 ივლისს იაპონელებმა

გენ. ლიაპუნოვის უკანა რაზმი განდევნეს და სოფ. ნოვომიხაილოვსკი დაიჭირეს. 14 ივლისს გენ. ოკუმ ორ რაზმად გენ. ლიაპუნოვის წინააღმდეგ გაილაშქრა. რუსის გენერალი, ეტყობა, რიკოვსკის ჩრდილოეთით იდგა, მდ. ტიმაზე. ლიაპუნოვს აქ მთელი თავისი ჯარი ჰყავდა—5 ათასი ქვეითი კაცი 8 ზარბაზნითა და 4 ტყვის მტყორცნელით. 14 ივლისს იაპონელებმა სოფ. დერბენსკი დაიჭირეს, რიკოვსკიდან 30 ვერსტზე ჩრდილოეთით და გენ. ლიაპუნოვის მარჯვენა ფრთას დაემუქრნენ, ამავე დროს იაპონიის კავალერიამ რუსის მარცხენა ფრთას მოუარა და სოფ. რიკოვსკში შევარდა, მაგრამ რუსებმა ისევ განდევნეს. 15 ივლისს მდ. ტიმაზე ნამდვილი ბრძოლა მოხდა. რუსის რაზმს დიდი ზარალი მოუვიდა; 200 კაცამდე მოუკლეს, მაშასადამე, 800 კაცამდე დაუჭრეს. დანარჩენი დაატყვევეს, მათ შორის თითონ გენ. ლიაპუნოვიც. იაპონელები ფიცხად დაედევნენ დამარცხებულ რაზმის ნაშთს და 16 ივლისს სოფ. ნალოვე დაიჭირეს. ამავე დღეს იაპონელებმა, მოკლე ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს სოფ. რიკოვსკიც, სადაც რამდენიმე ასი რუსის სალდათი გამაგრდა. გენ. ოკიმ ამით სახალინის ჩრდილოეთ ნაწილის დაპყრობა დაასრულა და 17 ივლისს სახალინის არმიის უფროსმა გენ. ხარაგაუჩიმ გამოაცხადა, სახალინი იაპონიის სამფლობელოს უერთდება და იაპონიის მმართველობა დაუწესდებაო.

სახალინის დაპყრობას იაპონელები სულ 22 დღეს მოუნდნენ: 25 ივნისს დაიწყეს და 17 ივლისს გაათავეს, ზარალიც მეტად მცირე მოუვიდა გენ. ხარაგაუჩის ჯარს".

ვიტტეს მოლაპარაკება ამერიკელ ბანკირებთან. „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ი იუწყება: ვიტტემ მოლაპარაკება დაიწყო ზოგიერთ ნიუ-იორკელ ბანკირთან; უნდოდა ნიუ-იორკში რუსეთის სესხი გამოეცა. ამერიკელ ბანკირებს პირობა დაედვათ ვიტტესთვის, მხოლოდ იაპონიასთან შერიგების შემდეგ შეგვიძლიან ფულის სესხებაო; მარტო ერთი ბანკირი დათანხმებულიყო ვიტტეს წინადადებას. რაკი ასეთი ხმები გავრცელდა, რუსეთის საფინანსო აგენტმა ნიუ-იორკში ვილენკინმა ვიტტეს მინდობილობით გამოაცხადა ადგილობრივ გაზეთების საშუალებით, რომ ხმა რუსეთის სესხის გამოცემაზე ამერიკაში საფუძველს მოკლებულიაო. („ნ. ვ.").

რუსეთი და ამერიკა. ამერიკული გაზ. „გლობ"-ი ამბობს: ამერიკის კავშირი რუსეთთან შეუძლებელია. ამერიკა სულით და გულით თანაუგრძნობს იაპონიას. ამერიკის მთავრობას არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიოს საზოგადოების აზრსა, ჩვენი საზოგადოება-კი „ჯეპანოფილია" („ნ. ვ.").

ოსტერბეიდან სწერენ „ბირჟევი ვედომოსტი"-ს: შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ყველა ამერიკელი რუსეთს თანაუგრძნობდეს. აქ საკმაოდ დიდი პარტია მტრულად უცქერის რუსეთს. ამ პარტიას ბევრი ამერიკული გაზეთი აძლევს ბანს.

მუშათა მდგომარეობა და ბიუროკრატია

პეტერბურგს იანვარში მომხდარმა ამბებმა, როგორც მკითხველსაც ეხსომება, ბიუროკრატიაც შეანძრიეს. ასი ათას მუშათა არმიის არეულობამ შეაშფოთა და დააფიქრა პეტერბურგის კანცელარიებიც-კი, რომელნიც „საუკუნოთა განმავლობაში" მხიარულად გაიძახოდნენ „все обстоитъ благополучно". ვულკანის აფეთქებამ აგრძნობინა მოხელეთ, რომ საქმე სახუმროდ აღარ არის, და ბიუროკრატიაც ცდას შეუდგა...

პირველი ნაბიჯი, პირველი ცდა არა ჩვეულებრივი იყო პირველის შეხედვით: დაარსებულ იქმნა სენატორის შიდლოვსკის მეთაურობით კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია მუშათა მდგომარეობა და შეემუშავებინა ღონისძიებანი მათის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. კომისიაში **მუშებსაც** უნდა მიეღოთ მონაწილეობა, სახელდობრ: პეტერბურგის მუშების მიერ **არჩეულ** წარმომადგენლებსაც. ასეთმა გარემოებამ მთელი რუსეთი აალაპარაკა და დააინტერესა, რადგან ბიუროკრატია პირველად ჰბედავდა და მუშების არჩეულ წარმომადგენლებსაც ანდობდა საქმეს. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ არაჩვეულებრივად და საინტერესოდ ბიუროკრატიის ნაბიჯი მხოლოდ პირველის შეხედვით იყო. ჯერ ერთი, კომისიაში დიდი უმრავლესობა მოხელეებისა და მრეწველებისა უნდა ყოფილიყო, მუშები-კი დიდი უმცირესობა; ეს კიდევ ცოტაა: ამ უმცირესობის არჩევაც ისე იყო მოწყობილი, რომ მუშებმა უარი სთქვეს. ბიუროკრატიის პირველი ცდა უნაყოფოდ და უხეიროდ დასრულდა.

პირველს ცდას მალე მეორე მოჰყვა. დაარსებულ იქმნა ისევ კომისია, რომლის წევრებად უნდა ყოფილიყვნენ ყველა უწყებათა წარმომადგენელნი, მეფაბრიკე-მექარხნეები და ცნობილი მოღვაწე-მეცნიერნი. საზოგადოება ამითაც დაინტერესდა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ესეც ვერაფერს გააწყობს, რადგან წევრთა შორის შეურიგებელი უთანხმოება სუფევდა. ამ ნაირად ბიუროკრატიის მეორე ცდაც უნაყოფოდ და უხეიროდ დასრულდა.

ასეთ ცდათა შემდეგ ყველას ეგონა, რომ ბიუროკრატია მიხვდება რაშიაცაა საქმე, აღიარებს თავის უძლურებას და გადასწყვეტს საქმის იმ დრომდე გადადებას, სანამ ხალხის წარმომადგენლობა არ იკისრებს კანონმდებლობას. მაგრამ თურმე ყველანი სცდებოდნენ: ბოლო დროს გამოირკვა, რომ ბიუროკრატია არ სტყდება და თავის მოძულებულ ღონით, თავის დახავსებულ საშუალებით ჰფიქრობს ისევ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიუროკრატია ისევ განაგრძობს და თავის თავს ატყუელებს, სხვების მ[illegible] ზოგიერთ ეკონო[illegible] შემსუბუქება. ახ[illegible]თები შემდეგ ცნობებს გადმოგვცემენ.

მუშათა მდგომარეობით, სწერენ პეტერბურგის გაზეთები, ეხლა სხვა და სხვა ცენტრალური უწყება დაინტერესდაო (sic!); ამიტომ შეეკითხნენ ყველა ადგილობრივ დაწესებულებათ—შეგვატყობინეთ თქვენი მოსაზრებანი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებაო; ამ ჟამად ზოგიერთ ადგილობრივ დაწესებულებათ კიდეც წარმოუდგენიათ ამის თაობაზე მოხსენებანი და ამიტომ მალე რამდენიმე კომისია (sic!) დაარსდება წარმოგზავნილ მასალის განსახილველად და პროექტების შესადგენადაო!.. სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს. სასაცილოა, რომ პეტერბურგის ბიუროკრატიას ვერაფერმა და ვერავინ ჭკუა ვერ ასწავლა, რომ იგი **კანცელარიების შეკითხვითა და რამდენისამე კომისიის დაარსებით** ფიქრობს კიდევ ფონს გასვლას. სამწუხაროა, რომ რუსეთისა და მასთან მუშა ხალხის სვე-ბედის გამგებელი ჯერ კიდევ ეგ ბიუროკრატია არის...

ამასობაში, სანამ ბიუროკრატია სხვა და სხვა ცდას ახდენს, მუშათა კეთილდღეობა თან და თან ქვეითდება. რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან სამწუხარო ამბები მოდის საერთო კრიზისზე, მუშათა გაჭირვებაზე, იძულებულ გაფიცვების გახშირებაზე და სხვა. მაგალითისათვის მოვიყვანთ მღვდლის ფლეროვის სიტყვებს პუტილოვის ქარხნის მუშებზე. მამა ფლეროვი ასე აღგვიწერს ამ მუშათა გაჭირვებას:

„პუტილოვის ქარხნის მუშები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ამ მუშების, განსაკუთრებით იმათ შვილების, დასმარჩენისა და სულის საქმე ეხლავე უნდა მოეწყოს. ბევრნი, ვისაც ასე თუ ისე შეეძლო, წავიდნენ, მაგრამ უმრავლესობა აქ დარჩა. ამათ პირდაპირ შიმშილი მოელით. გაჭირვებამ იქამდე მიიყვანა, რომ აიკლეს პურით სავსე ვაგონი, რომელიც ლიანდაგზე იდგა. ყოველ დღე ნახავთ მუშებსა და იმათ ცოლ-შვილს, რომელნიც ჯგუფებად, ათი და თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი, ტყეში მიდიან სოკოებისათვის. ისინი, ვინც სოკოს პოულობენ და ჰყიდიან, ცოტა თუ ბევრად კუჭს იძღობენ. ბავშვებს სიკვდილმა ერთი-ათად იმატა. 25 ივლისს ერთ სასაფლაოზე მუშებმა დაასაფლავეს ხუთი ბავშვი. ასეა ყოველ დღე, საერთოდ, ჰიგიენური პირობები საზარელია".

ასეთივე ამბებია პეტერბურგის და ბევრ სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებზედაც. საშინელმა ომმა, გახშირებულმა იძულებულმა გაფიცვებმა და სხვა მიზეზებმა ისედაც გაჭირვებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავეს. ახლო მომავალი უარეს ყოფას უქადის მუშათ და ამიტომ საჭიროა დროზე შველა. ხოლო შველა ბიუროკრატიას აღარ ძალუძს; თვით ხალხმა, იმის მიერ თავისუფლად არჩეულმა წარმომადგენლებმა, უნდა ითავონ სხვათა შორის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმის მოწყობაც. გ.

ახალი ამბავი

◆ ამ დღეებში **ქუთაისის გუბერნიაში** [illegible] **საგანგებო კომისია** გენე[illegible]ა და ვიიდენბაუმის მეთაუ[illegible] ნამესტნიკის მინდობი[illegible] გამოიკვლიოს სვანეთში გლეხთა მოძრაობის მიზეზი და თავ. დადეშქელიანებისა და გარდაფხაძეების საქმე. როგორც ამბობენ, ხსენებულ თავადებს უთხოვნიათ მთავრობისათვის ჯარის გაგზავნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს თხოვნა არ შეუწყნარებიათ.

◆ უმაღლესის ბრძანებით, 1900 წელს **ახალქალაქის, გორის და დუშეთის** მაზრების სოფლის მცხოვრებთ მიეცათ ხაზინიდან სესხად (ამ ფულით თესლი უნდა შეეძინათ) ოცდა ათი ათასი მანეთი, რომელიც ორმოცდა ჩვიდმეტის წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ მცხოვრებთ. მდგომარე წელს ხუთ აპრილს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც მთელ იმპერიაში მცხოვრებთ ეპატიათ სათესლედ მიცემული სესხი. აღნიშნულ ბრძანების თანახმად, ტფილისის სახაზინო პალატამ მოწერილობა დაუგზავნა გორის, ახალქალაქის და დუშეთის მაზრების უფროსებს, აღარ გადაახდევინონ მცხოვრებთ მათზე ვალად დარჩენილი ოცდაათი ათასი მანეთი. („კავ.").

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ სთხოვა ტფ. გუბერნატორს, გაუგზავნოს სია **იმ სოფლის მამასახლისებისა**, რომელთაც რუსული ენა კარგად იციან. სიები უნდა შესდგეს ცალ-ცალკე ყოველ მაზრაში და აღინიშნოს წლოვანება, გვარი, სახელი, დრო მამასახლისობის თანამდებობაზე დანიშვნისა და საცხოვრებელი ადგილი. როგორც პალატის თავმჯდომარე ატყობინებს გუბერნატორს, ეს მამასახლისები მოწვეულნი იქნებიან, წევრების უფლებებით, პალატის იმ სხდომებზე, რომელზედაც განსახილველად დანიშნული იქნება პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები.

◆ როგორც ვწერდით, **პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეების განხილვაში** ამიერიდან წოდებათა წარმომადგენელნიც მიიღებენ მონაწილეობას. რადგან მდგომარე წლის პირველ სექტემბრიდან დაიწყება ტფილისში პოლიტიკურ საქმეების განხილვა, ტფ. სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ მოსთხოვა გუბერნატორს სია ტფილისის გუბერნიის ქალაქის მოურავების და მამასახლისებისა.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე** აპრილში, როგორც ვიცით, გაიფიცნენ მემანქანენი, მათი თანაშემწენი, მეისრენი, მუშები და სხვები. პირველ ხანს ამ გაფიცულ დროს ფულს არ აძლევდნენ მოსამსახურეთ, მაგრამ შემდეგ 111 ათასი მანეთი გადასდეს, რომელიც უნდა დაერიგებინათ როგორც საჩუქარი. ამ თანხიდან კავკასიის ნამესტნიკის დადგენილებით მემანქანეებს და მათ თანაშემწეთ მიეცემათ 33 ათასი მანეთი, ხოლო 78 ათასი—დანარჩენ მოსამსახურეთ. ფული არ მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც 27 ივნისის გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო.

◆ **ბათუმში როდშილდისა და მანთაშევის ქარხნები**, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, მუშაობას განაახლებენ მდგომარე წლის 1 სექტემბრიდან.

◆ სამის წლის წინად დუშეთის მაზრის სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრები გლეხები ეფხოშვილი და ფიცხელაური **ადმინისტრატიულის წესით** გადასახლებულ იქნენ ასტრახანის გუბერნიაში. ეხლა ამათ შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სამშობლოში დააბრუნონ.

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკმა** განაახლა სესხის გაცემა ტფილისის, ქუთაისის, განჯის და ერევნის გუბერნიების სოფლის მამულებზე. გორის მაზრაში იმ სოფლის მამულებზე გაიცემა სესხი, რომელთათვისაც გლეხთა მოძრაობას ზარალი არ მიუყენებია.

◆ 10 აგვისტოსთვის დანიშნულია საგანგებო **კრება დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობისა**. კრება მოხდება ქალაქ დუშეთში.

◆ **კავკასიის რკინის გზის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა გზათა მინისტრის წინაშე, გადასდოს 50 ათასი მანეთი იმ მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად, რომელნიც უკანასკნელ გაფიცვის დროს მუშაობდნენ.

◆ მთავრობას გადაუწყვეტია, **ბაქოში მეციხოვნე ჯარის გაძლიერებლად**, ერთი რომელიმე პოლკი გადაიყვანოს. ეს პოლკი სამუდამოდ ბაქოში დარჩება. („კ.").

◆ 29 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, კუკიაში, გერმანელთა სასაფლაოსთან, მოჰკლეს რკინის გზის ტფ. სადგურის ბარგის მზიდავი კონსტანტინე ბადრიძე. ბადრიძე ეტლით მიმავალა რკინის გზის ბუფეტის მზარეულთან ერთად. უცნობს ორჯელ რევოლვერი დაუხლია და ბადრიძე იქვე მოუკლავს. მკვლელს გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

◆ **ტფილისის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლად**, თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ნაცვლად, რომელიც, როგორც ვიცით, სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორად იქმნა ამორჩეული, გადმოჰყავთ სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელი შუამავალი თავ. მამუკა ჭავჭავაძე.

◆ **ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს მეხუთე წევრად** დაინიშნა მოგილევის გუბერნიის ერთ საერობო უფროსი ალექსანდრე რიდელი.

◆ **ბორჩალოს მაზრის უფროსად** ნიშნავენ ნამესტნიკის კანცელარიის მოხელეს თავ. ჭავჭავაძეს.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სამედიატორო სასამართლო თ. სახოკიას და ბ. ნ. ხიზანიშვილის საქმეს გაარჩევს ფოთში 6—7 აგვისტოს.

◆ სოფელ ღოღნის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, მიეცეთ სახელმწიფო ადგილები სოფლის ახლო, ზემო და ქვემო ქედში, სადაც გლეხებს უნდათ ბეღლები გამართონ თავიანთ ჭირნახულის შესანახად.

◆ ეს რამდენიმე დღეა მუხრანის ბორანი აღარ მუშაობს. ბორნის შეჩერების გამო ხალხი შეწუხებულია და ამას გარდა ქალაქსაც ზარალი აქვს.

◆ 28 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ტფილისიდან მიმავალი სახალხო მატარებელი № 4, ნავთლუღის სადგურზე ცოტას ხანს შეჩერებულა. ვაგონში ყოფილა, სხვათა შორის, ერთი გენერალი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა. გენერალს ქურდები მიჰპარვიან და ის იყო მატარებელი დაიძრა, ხელიდან საკვაიაჟო გამოუტაცნიათ, გადამხტარან გაქანებულ ვაგონიდან და მიმალულან. გენერალს სტანციის უფროსისათვის იმის თქმა-ღა მოუსწრია, ნივთებით სავსე ჩემოდანი მომტაცეს ქურდებმაო. ეს ამბავი სადგურის უფროსს ტელეფონით უცნობებია მე-7 ნაწილის ბოქაულის გომელაურისათვის, რომელსაც მალე პოლიციელები და ჯარის კაცები ჩაუსაფრებია იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელი იყო საეჭვო პირების გავლა. ერთის საათის შემდეგ ქურდები დაიჭირეს, რომელნიც აღმოჩნდნენ ტფილისის მცხოვრებნი სერგო და ევგენი კაზაკევიჩები და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები მიხეილ ასათიანი.

◆ 30 ივლისს პოლიციამ შეიპყრო პოლიციის მე-9 ნაწილში მცხოვრები არტაშეს პეტროსოვი, რომელიც ამ წლის თებერვალში გუმბრის სამხედრო სამმართველოს გამოქცევია.

ფელეტონი

პატარა ამბები

„მოგზაურის" თავისუფლება. — მესამე დასელების მოწინააღმდეგენი.—ავტონომისტები ერთს პარტიას შეადგენენ?— ვის ებრძვიან მესამე დასელები.

„მოგზაური" ლამის სახუმარო გაზეთად გადაიქცეს. ეს ოხუნჯობა, რასაკვირველია, არა ბ. ემმაკის წყალობით მოსდის პატივცემულს გაზეთს. არა, სახუმაროა უფრო სერიოზულად და მეთაურებად დაწერილი წერილები „მოგზაურისა", ვიდრე განზრახ სახუმაროდ და სასაცილოდ შეთხზული წერილები ბ. ემმაკისა.

„მოგზაური" გახუმრდა მეთქი, გეუბნებით და ეს მისი გახუმრება დღითი-დღე უფრო და უფრო მატულობს და ვითარდება, მაგრამ სახუმაროა „მოგზაური" ერთის მხრით, ხოლო საწყენია და სამწუხარო მეორეს მხრით, თუ მივიღებთ მხედველობაში მისი ბრძოლის საშუალებას, ცილის წამებას, ლანძღვებს და ჭორების გავრცელებას მოწინააღმდეგეთა შესახებ. გაიცინებთ, როდესაც წაიკითხავთ „მოგზაურის" ვითომდა სერიოზულს წერილს და უნებურად იკითხავთ: ნუ თუ მის დამწერს მართლა ჰგონია, რომ ასეთ მიეთ-მოეთობით მოწინააღმდეგეს დაამარცხებს? მაგრამ ამ გაცინებას ზედ მოჰყვება მეორე კითხვაც: განა შეიძლება, ასე უსამართლოდ, უპატივცემულოდ მოეპყრას ადამიანი მოწინააღმდეგეს, ასეთი საშუალება იხმაროს მისი აზრების „ასალაგმავად"?

მესამე-დასელებს არ უნდათ, რომ აზრს აზრი დაუპირდაპირონ, თავისუფლება მიანიჭონ მოწინააღმდეგესაც და აზრების შეჯახებით გამოკვლეულ იქნას საუკეთესო გზა: არა, მათ უნდათ ბოიკოტით, ყვირილით და ჭახებით გააუქმონ მოწინააღმდეგე აზრი. რკინის კედლებით უნდათ შემოზღუდონ სოფელი და ქალაქი და გზა შეუკრან სხვების აზრებს, შეებრძოლონ სხვა ყოველგვარ აზრს, რომელიც არ ეთანხმება მათ ვიწრო რწმენას. თავისუფლებას გიცავთო, გაიძახიან. დიახ, მართალია: თავისუფლებას იცავენ, მაგრამ მხოლოდ თავისთვის. თავისუფლება უნდათ მარტო მესამე დასელებისა და მათ თაყვანის-მცემლებისათვის. სხვებისათვის-კი არ ემეტებათ ერთი ნამცეცი თავისუფლებაც.

ახირებულად ესმით თავისუფლება ჩვენს მესამე დასელებს, მაგრამ მარტო თავისუფლება ესმით ასე ახირებულად?

ადამიანს არ შეუძლია არც ცხოვრება, არც განვითარება უსაჭმელოდ. ქონებრივი განვითარება არის საფუძველი სხვა ყოველგვარ განვითარებისათვის. აუტანელია მშიერ ადამიანის მდგომარეობა, არაფერზე ლაპარაკი არ შეიძლება მასთან, არაფრის გაგება არ შეუძლია მას, სანამ მშიერია, მაგრამ როგორი უნდა იყოს მისი მდგომარეობა, როდესაც მას არ შეუძლია თავისუფლად ილაპარაკოს თავის გაჭირვების შესახებ? არავითარი შევიწროება, არავითარი ძალმომრეობა არ არის ასე მძიმე და აუტანელი, როგორც სიტყვის თავისუფლების მოსპობა და შეზღუდვა. ლაპარაკის თავისუფლება იმგვარადვე ძვირფასი უფლებაა, როგორც უფლება მუშაობისა, უფლება საჭმელის მოთხოვნისა. ეს უფლება თანასწორად ეკუთვნის ყველას, ვინც უნდა იყოს, რა წოდებას, რა კლასსაც უნდა ეკუთვნოდეს. უკიდურეს ავაზაკს, დამნაშავესაც ვერავინ წაართმევს იმის უფლებას, რომ თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი და რწმენა. მართალ და ბრძენ აზრების სიის (ინდექსის) შედგენა შეუძლებელია. აზრებს არ უნდა ცენზურა, მართალი აზრი თვითონ გაიკვლევს გზას, თვითონ მოიპოვებს ნიადაგს და მის დასაცველად არავითარი დარაჯობა არაა საჭირო, თუნდ ეს დარაჯობა მესამე დასელებისა იყოს. სამწუხაროა, რომ სიტყვის თავისუფლებაზე ვიწყებ ლაპარაკს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე. ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავენ, მესამე დასელები დიდი საყვედურით მოგვმართავენ: როგორ ბედავთ, ვის ასწავლით თავისუფლების მნიშვნელობას, ვინ იფასებს თავისუფლებას, თუ არა ჩვენო?

წინადაწინვე პასუხს ვაძლევ: თავისუფლებას აფასებთ, მაგრამ მხოლოდ თქვენთვის; სხვისი თავისუფლება არა გწამთ, სხვის თავისუფლებას სჩაგრავთ!

**

გიმეორებთ, სიტყვის და აზრის თავისუფლება ყოველ წოდების და კლასის ადამიანს თანასწორად ეკუთვნის. ამ მხრით ყველა ადამიანებს ერთი ინტერესი აქვთ (თუმცა ეს გაუგებრობათ ჩვენს მესამე დასელებს) და ყოველს პარტიას შეუძლია თავისუფლად გაავრცელოს თავისი აზრები. ამიტომ მესამე დასელებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ მიიღონ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად ისეთი ზომები, რომლებიც უფრო შეჰფერის დღევანდელ ბიუროკრატიას. ვინც უნდა იყონ ეს მოწინააღმდეგენი, მათ თავისუფლად შეუძლიათ გაავრცელონ თავისი აზრები.

მაგრამ ახლა ის ვიკითხოთ. ვინ არიან ეს „მოწინააღმდეგენი", რას თხოულობენ და რისთვის ებრძვიან მათ ჩვენი მესამე დასელები?

თავის მოწინააღმდეგეებს მესამე დასელები, უწოდებენ ათასნაირ სახელებს: ნაციონალისტებს, ავტონომისტებს, ფედერალისტებს, კლერიკალებს, ფეოდალებს, წვრილ ბურჟუაზიას და სხვას და სხვას. რა აერთებს ყველას ამათ, მესამე დასელების შეხედულობით? ის, რომ ყველანი ავტონომიის მომხრენი არიან, მაგრამ როგორი ავტონომიის მომხრენი არიან და ავტონომიის გარდა თხოულობენ სხვა რასმე თუ არა, ამის შესახებ არაფერს ამბობენ მესამე დასელები. მათის აზრით, გამოდის, რომ ავტონომისტები ყველანი ერთნი არიან, ერთ პარტიას შეადგენენ, მაგრამ ამასთანავე ისიც გამოდის, მესამე-დასელების უნებურად, რომ რუსეთის მუშათა პარტია, ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა, სუვორინ-გრინგმუტები, ბიუროკრატია—ყველანი ცენტრის მომხრენი არიან, ცენტრალისტები (ავტონომიის წინააღმდეგნი) არიან და, მაშასადამე, ერთს პარტიას შეადგენენ.

ლოღიკა ყოველთვის და ყველასთვის ერთია: თუ ავტონომიის მომხრენი ყველანი ერთს პარტიას შეადგენენ, უეჭველია ავტონომიის მოწინააღმდეგენიც ერთს პარტიას შეადგენენ.

მაგრამ მართალი არ არის არც ერთი და არც მეორე: არ არსებობს არც ავტონომისტების პარტია, არ არსებობს არც ცენტრალისტების პარტია. ჩვენში არ არის ისეთი პარტია, რომლის მოთხოვნის შინაარსს ავტონომია შეადგენდეს, სხვა არაფერი, როგორც არ არის ისეთი პარტია, რომელიც ცენტრალიზმს თხოულობდეს, სხვას არაფერს. ავტონომიის მომხრე შეიძლება იყოს ბურჟუაზიაც, თავად-აზნაურობაც (ყოველ შემთხვევაში ნაწილი ერთისა და მეორისა), გლეხობა და მუშებიც, მაგრამ ის ერთ პარტიად ჰქმნის მათ? განა რუსეთის მუშათა ან ჩვენი მესამე დასელების წევრია გრინგმუტი იმიტომ, რომ ცენტრალიზმს იცავს?

ავტონომიის მოთხოვნა არის პოლიტიკურის პროგრამის ერთი მუხლთაგანი, მხოლოდ ერთი მუხლი და არა მთელი პოლიტიკური პროგრამა, რადგან ავტონომია შეუძლია მოითხოვოს ისეთმა ადამიანმა, რომელიც თავად-აზნაურობის დამცველია, და ასეთი ადამიანი უთუოდ მოითხოვს ფეოდალურ ავტონომიას; მაგრამ ავტონომია (თვითმმართველობა კანონმდებლობის უფლებით) შეიძლება მოითხოვოს ისეთმა ადამიანმაც, რომელიც ხალხის დამცველია, და იგი მოითხოვს ხალხურს, დემოკრატიულ ავტონომიას. ამგვარადვე შეიძლება, რომ ცენტრალიზმის მომხრე იყოს როგორც თავად-აზნაური ფეოდალი, ისე ბურჟუაზიაც და ხალხის მეგობარი, დემოკრატი: ცენტრალიზმი შეიძლება დემოკრატიული და არა-დემოკრატიული.

მაშასადამე, არა კმარა ვისიმე დასახასიათებლად, რომ იგი ავტონომიის მომხრეა, როგორც არ კმარა ის, რომ ცენტრალიზმის მომხრეა. საჭიროა გავიგოთ, თუ რას იცავს პოლიტიკაში საზოგადოთ, ხალხის მმართველობა უნდა თუ თავად-აზნაურობის ან ბურჟუაზიის გაბატონება.

**

განა ეს არ იციან ჩვენმა მესამე-დასელებმა? კარგად იციან, და საზოგადოდ დღეს ვიღაც გამოგონებულ „ნაციონალისტებს" და „ავტონომისტებს" კი არ ებრძვიან, არა, მათი საბრძოლველი საგანი ფედერალისტები არიან, მაგრამ თუ ყველას ერთად ასახელებენ, ერთმანეთში ურევენ, იმიტომ, რომ კითხვა დააბნელონ, მკითხველს თუ მსმენელს შთაბეჭდილება მოახდინონ, ერთის ტოლდ მეორეს მოახვიონ და ამით იოლად გაიტანონ ფონს.

მესამე, დასელებს ძალიან უყვართ: როდესაც მოწინააღმდეგეზე დაიწყებენ ლაპარაკს, უმარჯვესად მათ მამების და პაპების ბიოგრაფიებს მოუყვებიან, აი ვისი შთამომავალნი არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი, განა მათგან სხვა რამე იქნება! აი რას სწერს ერთი მესამე-დასელი „მოგზაურში" (№ 27): „იყო დრო, დრო ნეტარ-ხსენებული, როდესაც ჩვენს ძველს მშობლის სვედრ საქართველოში მამაპაპური სიდარბაისლე ჰქონდა, დროს ტარებდა, და მრავალ-ჟამიერ მღეროდა. იყო ასეთი დრო და მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა. ამ „კეთილ ძველ დროში" ჩვენი „ტურფა საყვარელ სამშობლოს" გონებრივ და ზნეობრივ დიდებას და სიამაყეს შეადგენდნენ „ბურჯნი საქართველოისანი", განათლებული, უმაღლეს სწავლა დამთავრებული ხუთიოდე ინტელიგენტის ჯგუფი, რომელსაც თავი ღმერთებად მოჰქონდათ და სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თვინიერ მათი მოღვაწეობისა მთელი ქვეყანა საქართველო დაიღუპებოდა და მამაპაპური ადათი და კეთილშობილობა გაქრებოდა... ამავე დროს იმავე „ტურფა სამშობლოში" ზემოხსენებულ „საზოგადოებას" (საზოგადოებად მაშინ მხოლოდ თავად-აზნაურობა მიაჩნდათ) გარდა სცხოვრობდა ნამდვილი ხალხი—ქალაქის მუ-

29 ივლისს მიხეილის ქუჩაზედ, გრიგოლ დიდხურაბოვის მაღაზია გაუტეხიათ ვიღაც ქურდებს და წაუღიათ 5 მან.

პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა პოლიცმეისტერს, პოლიციელი გიორგი ტასაშვილი სამსახურიდან დაითხოვეთ, რადგან მთვრალია და სამსახურს რიგიანად არ ასრულებსო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 29 ივლისი. წუხელ ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერით მოჰკლა პარმაკ-ოღლი ბერძენიშვილი. მკვლელი დაიმალა.

ჯერ არ დასრულებულა მეეტლების და მედროგეების გაფიცვა. წყლის მზიდავთა ნაწილი უკვე მუშაობს პოლიციის ძალდატანებით.

შენიშვნები ქართულის თეატრისა და სცენის შესახებ

სცენის მუშაკთა მდგომარეობა

წინა წერილშიაც ვსთქვით, რომ ჩვენის სცენის დაქვეითებასა და დაჩიავებაში თვით სცენის მუშაკთაც ეძებთ ბრალი. მართალიც, ამ ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში, რომელ მსახიობს შეუძლიან დაიკვეხოს, რომ ზოგჯერ გაუგებრობით და ზოგჯერ ცალ-კერძო მოსაზრებით არ გაემართლებინოს ქართული ანდაზა: „ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და დააქციაო“. ამის უტყუარი მაგალითი მეტად ბევრია, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად საბრალდებლო ოქმს კი არა ვწერთ, ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ, რომ ხშირად ქართველ მსახიობნიც თავის მხრივ დიახაც აბრკოლებდნენ ქართულის თეატრისა და სცენის ნორმალურს ზრდასა და განვითარებას.

ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში ერთი მაგალითიც არა ყოფილა, რომ ჩვენ მსახიობთ კორპორატიული ალლო გამოეჩინათ, ურთიერთობა განემტკიცებინათ და თანხმობით და სოლიდარობით ემოქმედნათ იმ შემთხვევებში მაინც, როცა გასაჭირი კარზე მოადგებოდათ; პირიქით, ყოველი წევრი დასისა კერძო ინტერესებით სცხოვრობდა, მარტო თავისთვის იყო და, ასე წარმოიდგინეთ, ეს განზე გაწევა, „შენ-ჩემობა“, ან ფრანგები რომ იტყვიან—chacun pour—soi—ცხოვრებიდან სცენაზედაც კი გადმოჰქონდათ, რაც ქართულს წარმოდგენების ეგრედ წოდებულს „ანსამბლს“—შეწყობილ შეთანხმებულ თამაშს შეუძლებელს ჰყოფდა...

ვიმეორებთ, ქართველ მსახიობთ სოლიდარობა და „ანსამბლიური“ მოქმედება გასაჭირის დროსაც ვერ მოუხერხებიათ, თუმცა იმაზე მეტი გასაჭირი,—რაც ჩვენის სცენის მუშაკთ წილად ხდომია,—რაღა უნდა ყოფილიყო! პირველ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე ქართველ მსახიობთა კალენდარი ჩვეულებრივს არა ჰგვანებია; მსახიობის წელიწადი თორმეტი თვის მაგიერ მხოლოდ ხუთის თვისაგან შესდგებოდა, ისიც ნაკიან წლებში, და ამის კვალობაზე უნდა მოეწყო თავისი ყოფა-ცხოვრება, ესე იგი, ხუთიოდე თვე ესვა-ეჭამა, ხოლო დანარჩენი შვიდი თვე მშიერ-მწყურვალს უნდა „კბილები ეკრიჭუნა“.

ბევრმა ვერ გაუძლო ამ „შეუძლებელს“! მოვიგონოთ ალექსანდრე ყაზბეგი, ბარბარე ავალიშვილისა, ნიკოლოზ გალუსტოვი... უკეთეს ყოფაში, რა თქმა უნდა, არც ცოცხლები არიან.

ყოველივე ამის შემდეგ ზოგიერთი ბრძენი კრიტიკოსი და თვით საზოგადოებაც განცვიფრებით გაიძახის—რატომ ახლები არა ჩნდებიან, განა ეგრე რიგად გამოიფიტა „განთქმული ხიუხვე ნიჭიერებისა“, ქართველთა შორის, რომ დღეს ძველ მსახიობთა ამარა დავრჩენილვართო! ნეტა ვიცოდეთ, ვინ თავზე ხელ-აღებული შეჰყოფს ცხვირს ქართულ სცენაზე! დრო ნეტარი უანგარო შრომისა, დამშეულად მოღვაწეობისა წარვიდა. ეხლა შრომისათვის ყველა „საცოხნს“ თხოულობს... უბრალო მუშა, ნოქარი, გადამწერალი, დარაჯი და სხვა უფრო უზრუნველ ყოფილია, ვიდრე ქართველი მსახიობი.

ვინ არ უწყის, რომ ყველგან, სადაც-კი ადამიანური ცხოვრებაა, ეკონომიურმა ევოლიუციამ შეჰქმნა ჭკუაც, უნარიც, ნიჭიც და სხვა მრავალი სიკეთე, რომელსაც ჩვენი ერი სიხარბით შეჰყურებს და შენატრის. სწორედ ქართულ სიღატაკე-სიღარიბეში უნდა ვეძიოთ მიზეზი, რომ, არა თუ ნიჭიერნი და „ზევარდმო მადლით ცხებულნი“, უბრალონიც კი ერიდებიან ჩვენს სცენას, რადგან იგი ვერ ჰკვებავს თავის მუშაკს...

ნამდვილი მსახიობნი, ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილნი მხატვრულის უნარით და საქმის სიყვარულით აფრთოვანებულნი, მხოლოდ პირველ ხანებში, სამუდამო სცენის დაარსებიდან, გამოჩნდნენ და ზოგნი დღემდეც ეწევიან თავის მძიმე და უმადურ უღელს. მაშინ მსახიობთ თავი მოჰქონდათ, რომ პურისა და ყველის მაგიერ უფრო ტაშის კვრით იკვებებოდნენ და საკუთარის შინაგან ღვთიურის ცეცხლით უფრო მეტად თბებოდნენ, ვიდრე ნამდვილ ცეცხლით ბუხრებში. ახალგაზდობას, რწმენას და სიყვარულს სინამდვილე ოცნებად და ტკბილ სიზმრად ეხატებოდა, მაგრამ ოცდა ხუთმა წელიწადმა ახალგაზდობას თმა გაუთეთრა, გამოაფხიზლა და გამოარკვია...

„სანამ ბავშვი არ იტირებს, ძუძუს არ აწოვებენო“, ამისი არ იყოს, ბოლოს დროს ქართველ მსახიობთ წუწუნი დაიწყეს—ილაჯი გაწყდა, მეტის მოთმენა არ შეგვიძლიანო. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, ბევრის ფიქრისა და თათბირის შემდეგ, გადასწყვიტა „ხელუხლებელი თანხა“ შეეგროვებინა, რომლის შემოსავლით „უზრუნველ ეყო მსახიობთა სიბერე და დაუძლურება“ და კიდეც შეაქუჩა ამისათვის ას ოცდახუთ თუმნამდე, მაგრამ...ცოტა ხნის შემდეგ ეს თანხაც განქრა, ასე რომ მსახიობთა სიბერე, როგორც ახალგაზდობაც, ნება-უნებლიედ ისევ გამწარებული უნდა ყოფილიყო...

მაშინ გამგეობამ სხვა, უფრო რადიკალური ღონე იღონა. რა-კი მსახიობთა სიბერეს ვერა ეშველება რა, მოდი იმათ სიკვდილზე მაინც რამე ვიზრუნოთო, და ექვსი საფლავი იყიდა კუკიის სასაფლაოზე!.. ეს იყო პირველი სამარე, უკაცრავად, პირველი საძირკველი, ჩვენთა მსახიობთა კეთილდღეობისთვის ჩაყრილი. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს; მაგრამ განა თეატრსა და სცენაზე მუდამ ერთი მეორეზე გადაბმული არ არის ტირილი და სიცილი? განა ცხოვრება განუწყვეტელი დრამა და კომედია არ არის!

ამ „შავ საქმეთა“ შემდეგ გავიდა სამი თუ ოთხი წელიწადი და ეხლა ხან, როგორც იქმნა, ახალმა გამგეობამ გაბედა და დასის წლიურად შენახვა იკისრა. ეჭვი არ არის, ეს ცვლილება სცენის მუშაკთა ნივთიერის მდგომარეობისა ნაყოფიერს შედეგს გამოიღებს ჩვენის თეატრისა და სცენის ცხოვრებაში, რადგან, სხვა არა იყოს რა, მუშაობისათვის შესაძლებელ პირობებს შეჰქმნის, მაგრამ ჩვენ ძრიელ გვაფიქრიანებს ის გარემოება, რომ ამ სასურველ და დიდის ხნით მომწიფებულ რეფორმების განსახორციელებლად დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ცოტა შეძლება აქვს და ვაი თუ კეთილ დასაწყისს ბოლო ვერ გაატანოს.

ძველი მწიგნობარი

სტატისტიკაც ასეთი უნდა!

ვერსად ვერ შეხვდებით სწორე სტატისტიკურ ცნობებს ქართველთა რაოდენობის შესახებ. დღემდე ეს საქმე საკამათო და საცილობელ საგნად არის გადაქცეული. ზოგნი ქართველებს ორ მილიონად სთვლიან, ზოგნი-კი ერთ მილიონსაც არ იმეტებენ. უმთავრესი ბრალი ამ საქმეში იმ დაწესებულებებს მიუძღვით, რომელნიც სასტატისტიკო ცნობებს ჰკრებენ. ნებით თუ უნებლიეთ, ამ დაწესებულებებს არ უნდათ ქართველ ტომის ხალხთა ერთიანობა აღიარონ. ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის ყველა გამოცემაში, მაგალითად, ცალკე არიან მოხსენებული ქართველები, ცალკე იმერლები, ცალკე მეგრელები, ქართველი მაჰმადიანები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, თითქო ყველა ესენი ქართველები-კი არა, სხვა ტომის ხალხნი იყვნენ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. საქმე ის არის, რომ მკვიდრ ქართველებსაც, რომელთა შესახებ ეჭვი ყოვლად შეუძლებელია, აღარა სცნობენ ქართველებად. ამ ორი დღის წინად მოგვივიდა ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის ახალი გამოცემა. ამ გამოცემაში მოთავსებულია სტატისტიკური ცნობები ტფილისისა და ჩერნომორის გუბერნიების შესახებ. შემთხვევით გადავათვალიერეთ და ამგვარ გასაოცარ რამეს წავაწყდით. იქ, სადაც ცნობებია ტფილისის გუბერნიის შესახებ, თვითეული მაზრა და საბოქაულოა ცალ-ცალკე ჩამოთვლილი. ტფილისის მაზრაში, როგორც ვიცით, სამი საბოქაულოა: ტფილისის, სართიჭალის და ყარაიაზისა. აი, ამ სამს საბოქაულოში, ე. ი. მთელს ტფილისის მაზრაში (ქალაქ ტფილისს გარდა), სადაც 66,669 სული მცხოვრებია, ზემოხსენებულ გამოცემით (1903 წ.) ქართველი ყოფილა მხოლოდ 9,389 სული. ეს ქართველები სცხოვრობენ ტფილისის საბოქაულოში; რაც შეეხება სართიჭალისა და ყარაიაზის საბოქაულოებს, იქ არც ერთი ქართველი არ არის აღნიშნული. ყარაიაზის საბოქაულოში არ ვიცი (ვგონებ, იქ ქართველი არ უნდა იყოს), მაგრამ სართიჭალისაში-კი სულ ცოტა 25,000 ქართველი მცხოვრები მაინც იქნება. სართიჭალის საბოქაულოში შედის, მაგალითად, შემდეგი სოფლები: ავჭალა, მამკოდა, დიდი ლილო, პატარა ლილო, ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, ბერთუბანი, ნინო-წმინდა, საგარეჯო (მარტო ამ სოფელში, 1904 წლის „კავკასიის კალენდრის“ ცნობებით, 4,243 სული მცხოვრები ყოფილა), გიორგი წმინდა, ანთოკი, მარია მკვარი, თოხლიაური და მანავი. ამ სოფლებში თითო-ოროლა სომხის გარდა სულ ქართველები სცხოვრობენ, სასტატისტიკო კომიტეტის გამოცემაში-კი არც ერთი არ არის ქართველად ცნობილი. სამაგიეროდ, როგორც სხვა ადგილიდან სჩანს, ამ საბოქაულოში ყოფილა 27,423 სული „აზიის სხვა და სხვა ერის“ წარმომადგენელი. ვინ არიან ეს „აზიის სხვა და სხვა ერნი“, ვერ გაიგებთ, რადგან ზემოდ უკვე მოხსენებულნი არიან ქართველები, სომხები, ქურთები, მთიულები, ებრაელები, ესე იგი ყველა ისინი, ვინც ტფილისის გუბერნიაში სცხოვრობენ. ვიმეორებთ, ამ შეცდომას შემთხვევით წავაწყდით და, ეჭვი არ არის, ასეთი შეცდომა სხვაც ბევრი იქნება.

ამ რიგად, საერთო ანგარიშში მარტო ამ ერთ საბოქაულოდან, სასტატისტიკო კომიტეტის ცნობებით, ქართველებს აკლდებათ თითქმის 30 ათას კაცამდე. ამას გარდა კომიტეტი მთელ ტფილისის გუბერნიაში არც ერთ ქართველ კათოლიკეს არა სცნობს. არიან მხოლოდ მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველები და არა კათოლიკე. შემდეგ, ვერ გაიგებთ ამ ცნობებიდან მთაში მცხოვრები ქართველები, მაგალითად, თუშები, ფშავლები, ხევსურები, გუდამაყრელები, ქართველებად არიან ჩათვლილნი თუ სხვა ხალხად. აი, ასეთის „სისწორით“ არის შედგენილი სტატისტიკა ტფილისის გუბერნიისა. ამ სტატისტიკით ქართველობა გუბერნიაში (ზაქათალის ოლქით) ყოფილა მხოლოდ 470,747 სული.

ესევე არეულ-დარეულია ცნობები იმავე სტატისტიკურ კომიტეტის გამოცემაში—„კავ. კალენდარში“. მაგალითად, ტფილისის გუბერნიისავე შესახებ ჩამოთვლილია, რამდენია მართლ-მადიდებელი, სომეხ-გრიგორიანი, რომის კათოლიკე, პროტესტანტი, „სტაროობრიადეცი“ და ყველა ამის შემდეგ ნახსენებია ვიღაც „დანარჩენი ქრისტიანები“. ასეთი დანარჩენი ქრისტიანე მარტო ტფილისის გუბერნიაში ყოფილა 230,120! ეჭვი არ არის, თუ სულ არა, აქედან ნახევარი მაინც ქართველობა იქნება.

ასეთის ცრუ და ყალბ ცნობების წყალობაა, რომ ყველგან ქართველობა ერთი ორად ნაკლები გამოჰყავთ. ამ ორიოდე დღის წინად „ტიფ. ლისტ.“-ში გადმობეჭდილი იყო „ოდ. ლ.“-ს წერილი, სადაც მოთავსებული იყო ცნობები სხვა და სხვა ერის შესახებ. ქართველობა იქ ნაანგარიშევია 823,968 სულად. მარტო ტფილისის გუბერნიაში რომ სწორე და ჰეშმარიტი ცნობები შეიკრიბოს, ქართველობა 600,000 სულზე ნაკლები არ იქნება. ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი კიდევ მეტია.

არა სტატისტიკოსი

რუსეთის ქრონიკა

სათადარიგო სალდათების არეულობა. ტირასპოლიდან ატყობინებენ „რ. ს.“-ს, რომ ბენდერის სათადარიგო ჯარის კაცთა საქციელი დიდს ეჭვს და მითქმა-მოთქმას ჰბადებსო. 24 ივლისს იმათ რამდენიმე კაცისათვის უცემიათ და, სხვათა შორის, ძლიერ დაუჭრიათ კიშინევის ოლქის სასამართლოს პროკურორის მოადგილე. იმავე დღეს ადგილობრივ რესტორანში შეცვივნულან და სულ მიუმტვრევიათ. პროკურორს დეპეშით გაუგზავნია სამხედრო გუბერნატორთან და ჯარის სარდალთან. („რ. ს.“).

რკინის გზების მოხელეთა მოთხოვნილება. ვარშავა-ვენის რკინის გზის მოხელეებს გამოუცხადებიათ გზის უფროსისათვის, რომ ამიერიდან ჩვენ ამის საჭიროებისათვის ჯამაგირებიდან აღარას გამოვარიცხავთ და რაც გვერიცხება თვიურად, ის ახლად დაარსებულ სკოლას მოხმარდეს ჩვენის შვილების აღსაზრდელადო. („რ. ს.“).

არეულობის მოთავე 20 გლეხი ჩაუგზავნიათ ს. სერგიევკიდან ატკარსკში 25 ივლისს. („რ. ვ.“).

პოლიტიკურ დამნაშავეთა გასამართლება. ტომსკში 24 აგვისტოს ომსკის პალატის სესიაში დანიშნულია განსახილველად სახელოვან გეოგრაფის, ციმბირის გამომკვლევის, პოტანინის, ვექილის ვიაკოვისა და სხვების საქმე. ამათ პოლიტიკური დანაშაულობა ჰბრალდებათ. („რ. ს.“).

ნაფიც და კერძო ვექილთა უფლებანი. დღემდის პოლიტიკურ დამნაშავეთა დაცვის უფლება სასამართლოებში მარტო ნაფიც ვექილებსა ჰქონდათ, დღეის შემდეგ კი ეს უფლება ნაფიც ვექილთა თანაშემწეებს და კერძო ვექილებსაც ექმნებათო, სწერს „რ. ს.“.

ჟურნალ-გაზეთები სოფლის მწერლის ხელში. 21 ივლისს ტვერის მაზრის გოროდნის ვოლოსტში ფოსტა მიუტანიათ. სოფლის მწერალს გადაურჩევია გაზეთები და ზოგი: „სვეტ“-ი, „მოსკ. ვედ.“-ი და „დენ“-ი ცალკე გადაუწყვია პატრონებისთვის დასარიგებლად, სხვები-კი, და, მათ შორის, „სინ ოტეჩესტვა“, დაუხევია და გადაუგდია. დამსწრე ხალხს რომ უკმაყოფილება გამოუცხადებია: „ბატონო, რათა ხევთ, როგორ შეიძლება გაზეთების დახევაო“, მწერალს ამაყად შეუყვირნია: „როგორ მიბედავთ, რომ შენიშვნას მაძლევთ! ხმა გაკმინდეთ, თორემ იქ გიგრავთ თავსაო! ეგ ჩემი ნებაა: რომელი გაზეთიც მე მომწონს, იმის კითხვის ნება-რთვას გაძლევთ და რომელიც არ მომწონს, იმას ყველას გიკრძალავთო“! („ნ. დ.“).

ახალი პროგრამმა სახალხო სასწავლებლებში. „რუს. ვედ.“-ის სიტყვით, საერთო განათლების სამინისტრო განიზრახავს, მომავალ შემოდგომიდან საგნების სწავლება სახალხო სასწავლებლებში სრულიად ახალ გეგმაზე მოაწყოს. ამის გამო სამინისტრო მალე დაანიშნავს კონკურსს სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ ისე, რომ სავსებით ეთანხმებოდეს ახალ პროგრამმას. ბევრი ძველი სახელმძღვანელო სრულიად განდევნილ იქნება თურმე სკოლებიდან. როგორც ამბობენ, სამინისტროს მოხელეებს აღარ მიენდობა ხსენებულ სასწავლო სახელმძღვანელოების განხილვა მოსაწონებლად და ნებადასართავად, როგორც დღემდის იყო. („რ. ვ.“).

ფინანსთა მინისტრის წინადადება მიუცია სხვა მინისტრთა და ამათ განყოფილებების გამგეთათვის, რომ შემოდგომიდან სახელმწიფო საბჭოში წინადადებანი შეიტანონ შტატების შემცირების შესახებ, რათა ამის და გვარად ჯამაგირებიც შემცირდესო. („ნოვ. დნია“).

ახალი დამოუკიდებელი გუბერნია. განზრახულია დონის ოლქს ჩამოერთვას

შები და გლეხკაცობა. მარჩენალნი საქართველოსა, [illegible] ღმერთები არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ მას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, იმდენად აინტერესებდათ მათი არსებობა, რამდენადაც სოფლის დედაკაცს მეწველ ფურის არსებობა აინტერესებს. მუშა ხალხი კი, „მოღვაწეების“ მიერ ათვალისწუნებული და უყურადღებოდ დატოვებული, გონებრივადაც და ქონებრივადაც სიღატაკეში ნავარდობდა; არც ერთი ცხოველი სიტყვა, არც ერთი ნათელი აზრი მათ დუხჭირ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არსაით არ მოისმოდა და არსაიდ არ მოსჩანდა“.

ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, მაგრამ დადგა დრო და „ფეხი მოიკიდა ახალგაზდების ერთმა თავგანწირულმა ჯგუფმა, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზდური ენერგიით და ღრმა რწმენით შეუდგა საქმეს და მუშაობა გაჩაღდა“. რასაკვირველია, ეს ჯგუფი იყვნენ მესამე დასელები. ამათ დაამხვრიეს ძველი კერპები, მოუსპეს ძველი „ნაციონალისტები“, მაგრამ ამ ძველების ნაცვლად გაჩნდნენ ახალი „ბურჟუა-ნაციონალისტები“, „ფედერალისტ-ავტონომისტები“, აი ესენი არიან დღეს ავტონომიის მომხრენი და „ხალხის მტრების“ მემკვიდრენი ხალხის მტრები არ იქნებიან?...

ასე სწერს ზემოხსენებული მესამე დასელი, ასე მსჯელობენ მისი ამხანაგები. მაგრამ მართალია ეს? მართალიც რომ იყოს, „ავტონომისტები“ ჩვენი ძველი მოღვაწეების მემკვიდრენი იყვნენ, ამ ძველ მოღვაწეებში არავინ იყო ხალხის დამცველი? ვსთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები ხალხს არ ემსახურებოდნენ, როგორც მათზე ამბობენ, „ივერია“ თავად-აზნაურობის დამცველი იყო, განა ხალხის მეგობრები არ იყვნენ ს. მესხი, გ. წერეთელი და მათი თანამოაზრენი? ხალხის ინტერესების დამცველი არ იყო „დროება“, „იმედი“.

აი რას გვითხულობთ ამ გაზეთში, რომლის მემკვიდრე დღეს „მოგზაურია“, რას გვითხულობთ მაშინ, როდესაც ჯერ „ავტონომია“ არსად იყო ჩვენში: „დროების მთავარი ღირსება იყო ის, რომ თავის დროის მოწინავე აზრები ჰქონდა შეთვისებული და ამას ქადაგებდა. ის დრო იყო დრო ბატონყმობის ურთიერთობის დარღვევისა და მაშინდელი ახალი აზრიც ყმების გამოსარჩლებას და გლეხკაცობის დახმარებას შეიცავდა. „დროება“ არ ღალატობდა ამას, მის დროშაზე ეწერა: დაცვა დაჩაგრულთა (გლეხთა) დამჩაგვრელთა წინააღმდეგ (მებატონეთა). ეს არის მისი ძლიერი მხარე და ეს ტრადიცია დასთესა მან. ასე რომ პირველი ქართული გაზეთი იყო გაზეთი დემოკრატიული, რაიც შემდეგ უარჰყო „ივერია“-მ და მით დაარღვია ტრადიცია ქართული პრესის. ეს ტრადიცია უნდა იქმნას აღდგენილი ახალი პრესის მიერ და მით წარსულის და აწმყოს შორის გაწყვეტილი ძაფი ხელახლა გაიკვანძოს. ამ მხრით ახალი პრესა იქნება გაგრძელება „დროების“. ერთი სიტყვით, ახალი პრესა უნდა დაუკავშირდეს წარსულ პრესას, მან უნდა შეითვისოს ჩვენი გამოცემათა საუკეთესო თვისებები, მან უნდა მონახოს თავისი ადგილი სამშობლო მწერლობაში და აი მაშინ ის წარსულის ნამდვილი შვილი იქნება, აწმყოს ნამდვილი მატარებელი და მომავლის მქონებელი“. (ქართული პრესა. 109—110).

აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ წარსულშიც ყოფილა ხალხური მიმართულება, რომ მესამე დასელების „ციდან ჩამოვარდნამდისაც“ ყოფილან მოღვაწეები, რომლებიც მუშაობდნენ და იბრძოდნენ ხალხის ინტერესების დასაცველად და ასეთი ადამიანების მემკვიდრეობა სრულებით სამარცხვინო და დასამცირებელი არ არის, როგორც ეს დღევანდელ „მოგზაურის“ მესამე-დასელს ჰგონია.

ახირებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი ჩვენი მესამე-დასელები. ერთის მხრით, ვინც მათი ფიქრის აზრის არ არის, უთუოდ „ბურჟუა-ნაციონალისტი“ და ხალხის მტერია; მეორეს მხრით, იძულებულნი არიან აღიარონ, რომ „ნაციონალისტებიც“ ყოფილან ხალხის მეგობრები, რადგან ნაციონალისტიც არის და ნაციონალისტიც. ჩვენს წარსულში იყვნენ „ნაციონალისტები“ დემოკრატები, იყვნენ ნაციონალისტები არისტოკრატები, ფეოდალები. მაშ რატომ არ შეიძლება, რომ დღესაც იყვნენ „ნაციონალისტები“ დემოკრატები და არა-დემოკრატებიც? შეიძლება და კიდეც არიან, არიან ს. მესხის და გ. წერეთლის მემკვიდრენი „ნაციონალისტ“-დემოკრატები.

ეს მშვენივრად იციან ჩვენმა მესამე-დასელებმა და სწორედ ამისთვის აერთებენ ყველა ნაციონალისტებს, ყველას ერთ პარტიად აცხადებენ, ხალხი მოატყუონ, უნდათ სახელი გაუტეხონ, თავს მოახვიონ სხვისი ცოდვები ამ ქართველ „ნაციონალისტ“-დემოკრატებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ დამოუკიდებლობას და სრულს დემოკრატიულს, ხალხურ ავტონომიას და ქადაგებენ ერთა შორის ძმობას და თანასწორობას. ასეთ ნაციონალურ თავისუფლების მომხრე დემოკრატებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ ნაციონალისტებთან, რომლებიც იცავენ თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ბატონობას.

ამგვარად ავტონომიის ეროვნული თავისუფლების მომხრე შეიძლება იყოს დემოკრატიც და არა-დემოკრატიც. მაგრამ დემოკრატობა მხოლოდ პოლიტიკური პრინციპია. და განა ფედერალისტების პარტია, რომელსაც ასე გამწარებით ებრძვიან მესამე-დასელები, მარტო პოლიტიკურ პროგრამას იცავს?..

* *

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ავტონომია პოლიტიკურ პროგრამის ერთი მუხლთაგანია და რომელსამე პარტიის წინააღმდეგ თუ გვინდა ვილაპარაკოთ, მარტო ერთს მუხლს, ერთს ავტონომიას კი არ უნდა ჩავეჭიდოთ ხელი, არამედ უნდა გავარჩიოთ მთელი პროგრამა, როგორს პოლიტიკურ რეფორმებს თხოულობს პარტია, როგორი ავტონომიის დამცველია, დემოკრატიულისა თუ არა-დემოკრატიულისა.

მაგრამ ჩვენი მესამე-დასელები ამისთვის არ იწუხებენ თავს, არ უნდათ საქმე გაარჩიონ, საკითხი გამოარკვიონ, არ უნდათ, რადგან საქმის დაბნევა და არევ-დარევა მათთვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. ისინი ხომ სიმართლეს არ მისდევენ, ოღონდ კი მოწინააღმდეგე დაამარცხონ და თავისი ღმერთი ადიდონ, და ყოველივე საშუალება კარგია. ავტონომიის მომხრეებს ყველას აერთებენ, რადგან თუ ერთს ვერ გამოუნახეს ნაკლულევანება, მეორეს გამონახავენ, თუ მეორეს ვერა, მაშინ მესამეს მისდგებიან და ასე ამგვარად ყველასთვის გამონახავენ რასმე დასაგმობს.

ასე რომ მოვიქცეთ ჩვენც, ასე რომ ერთად მოვუყაროთ თავი ყველა ცენტრალისტებს და ავტონომიის მოწინააღმდეგეებს, გამოუდგებოდი მასალა გვექნებოდა მათ წინააღმდეგ. რომელი პოლიციელი გინდათ, რომელი ჟანდარმი, ჩინოვნიკ-ბიუროკრატი, რეაქციონერი არ არის ცენტრალიზმის მომხრე და ავტონომიის მოძულე!

მაგრამ ჩვენ ამ საშუალებას არ მივმართავთ, ეს საშუალება სავსებით დავუთმოთ მესამე-დასელებისათვის.

ავტონომიის დამცველნი, შეიძლება (ვიმეორებ) იყვნენ სხვა და სხვა პარტიის, სხვა და სხვა რწმენის და შეხედულობის ადამიანები. ავტონომიას, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ჩვენში იცავენ, სხვათა შორის, ფედერალისტები. მაგრამ მათი ავტონომია არის სრულიად დემოკრატიული, ხალხური ავტონომია. ესენი თხოულობენ ისეთს ავტონომიას, ისეთს თვით-მმართველობას და წეს-წყობილებას, სადაც გაბატონებული იქნება ხალხი; გარდა წარმომადგენლობითი მმართველობისა თხოულობენ, რომ ხალხი რეფერენდუმის შემწეობით პირდაპირ იღებდეს მონაწილეობას კანონმდებლობის საქმეში; ეს პარტია იცავს სრულს თანასწორობას და ერთობას ერთა შორის, უნდა, რომ ავტონომია მიენიჭოს ყოველს ერს, და თუმცა საქართველოს ავტონომიაში დარჩებიან სხვა ერის წევრები, მაგრამ მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული თავისუფლება და თანასწორობა. ასეთი ავტონომია სრულებით არ ნიშნავს ერთის ერის მეორისაგან გათიშვას და მოშორებას, რადგან საკუთარ ბაჟების დაწესებას, საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას, როგორც აბრალებენ ჩვენი მესამე დასელები. შვეიცარიაში, სადაც სამი მილიონი მცხოვრებია, 22 ავტონომია არის, შვეიცარიის რესპუბლიკა 22 ავტონომიისაგან შესდგება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შვეიცარიაში 22 ერთი მეორისაგან დაშორებული სახელმწიფო იყოს. ავტონომია დამოუკიდებელია თავის შინაურ საქმეებში, მაგრამ მას აქვს საერთო საქმეები სხვა ავტონომიებთან და ამ საერთო საქმეებს ერთად სწყვეტენ და არჩევენ ავტონომიები საერთო საკავშირო პარლამენტში. ამგვარი საერთო საქმეებია: ჯარი, ფული, ბაჟები, გარეშე საქმეები, სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულება.

მესამე-დასელები ამბობენ, კავკასიაში ისე არიან ერთმანეთში არეული ერები, რომ აქ ავტონომიების დაარსება შეუძლებელი არისო. მაგრამ ერთი ეს არევ-დარევა გადამეტებულია, მეორე ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებიან ავსტრიის ერები და იქ მუშათა პარტიები თხოულობენ, რომ ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად საუკეთესო საშუალება ტერიტორიალურ ეროვნულ ავტონომიების დაარსებაა. ესვე პარტიები ამტკიცებენ, რომ ავტონომია და ფედერაცია კი არ აშორებს ერთმანეთს მუშებს, არამედ უფრო აერთებს და მჭიდროდ აკავშირებს. ამასთანა მაგალითებს ბევრს მოვიყვანდით მაგრამ რად გინდათ, რომ მესამე დასელებზე არავითარი მაგალითი და ფაქტი არ მოქმედობს, თუ ეს ფაქტი მათ ფიქრს დოგმას არ ამართლებს. ზოგმა მესამე-დასელმა კაუცკი და ბებელიც კი გამოიყვანა „სიიდან“ მას შემდეგ, რაც უკანასკნელნი გამოექომაგნენ ეროვნულ დამოუკიდებლობას.

შევწყვიტოთ აქ და დანარჩენი მერმე იყოს.

სიტყვა.

დონის ნახიჩევანი, ტაგანროგი, აზოვი და დონის როსტოვი და ამათგან ცალკე დამოუკიდებელი გუბერნია შესდგეს. („რ. ს.“).

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

სწორედ ოთხი თვეა, რაც გორის მაზრაში არსებობს სათავად-აზნაურო მილიცია... რა აზრით დაარსდა ეს მილიცია—ბევრისათვის აქამდისაც საიდუმლოა. ზოგნი კარგის თვალით უყურებდნენ ამ ორგანიზაციას, ეგონათ სასარგებლო, რამე საზოგადო მიზანი ჰქონდა სახეში; ზოგი დაიმედებულიც იყო, რომ მას ვითომ განზრახვა ჰქონდა ცოტაოდენი შეღავათი მიეცა გლეხებისათვის. მაგრამ აღსრულდა ის, რაც ყველა შორს მჭვრეტელისათვის მოსალოდნელი იყო. ამ ბოლო დროს მომხდარმა ამბებმა აშკარად დაგვანახვა, თუ რა გზას ადგანან მილიციის წევრები და რას აპირებენ ზემდეგისათვის.

რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავის საკუთრება, მაგრამ რა გზით? ნუ თუ ინტელიგენტების, სტუდენტების და სხვა უდანაშაულო პირების დევნით და მოსპობით, როგორც „კეთილშობილი“ მილიციონერები ფიქრობენ?! რა საშინელ სიბნელეში იმყოფებიან საბრალონი! ჰლამობენ ამნაირად შეაჩერონ ახლანდელი პროგრესიული მოძრაობა ჩვენში... სირცხვილი ასეთ ორგანიზაციას, რომელმაც თავის უკუღმართისა და საზიზღარის მოქმედებით ჩირქი მოსცხო თავისს წევრებს და სამუდამოდ შეურცხვინა სახელი განათლებულ და შეგნებულ ქვეყნიერების წინაშე. აქამდის კიდევ ეგონებოდა კაცს, რომ ამ მრავალ თინების ჩამდენნი მილიციის მხოლოდ ზოგიერთი წევრნი იყვნენ, რომელნიც თავისის ჭკუით მოქმედობდნენ, მაგრამ ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ ამ გვარი მოქმედება მთელ მილიციის, ამ სწორედ „შავი რაზმის“ საერთო მისწრაფებად გამხდარა. დიახ! ეს სახელი „შავი რაზმი“ სწორედ ეკუთვნის ამ ორგანიზაციას. მაშ მისი წევრები თავისს ქცევით რით განსხვავდებიან იმ „ხულიგანებისაგან“, რომელთაც ასახელებს რუსეთი ამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს და რომელნიც არავის ეგონა, რომ აღმოჩნდებოდნენ საქართველოშიაც?.

აქ არას ვამბობ ჩემზე თავდასხმის შესახებ. ეს გაზეთებმა საკმაოდ გამოარკვიეს... ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემს ქურდულად თავსდამსხმელებს, რომელნიც რიცხვით ოთხნი იყვნენ და არა სამნი, მე სრულიადაც არ ვიცნობდი, მათი ვინაობა, ისიც სამი პირისა, გამოირკვა მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი მოგროვდა და იმის დანახვაზე „რაინდებმა“ ფიცხლავ მოჰკურცხლეს... ეს კია, რომ მათი განსხვავებული ტანისამოსი ცხადად და უტყუარად მოწმობდა, რომ „უშიშარი გმირები“ ეკუთვნოდნენ უკვე ცნობილს და სახელოვან ორგანიზაციას.

მათი ვინაობა არც საჭიროა ჩემთვის. მეთინეებს მაინც არ მივსცემ პასუხის გებაში, რადგან, როგორც სიბნელეში მყოფნი, დამნაშავეებად არ მიმაჩნია... დამნაშავენი სულ სხვები არიან. მათი მეთაურნი და თავად-აზნაურობის სათავეში მყოფნი „ვითომ მოღვაწენი“, რომელთაც თავიანთის უგუნურის რჩევით ამ სამარცხვინო ორგანიზაციას ხელი შეუწყვეს და მით სახიფათო გზაზე დააყენეს. სირცხვილი, დიდი სირცხვილი მათ!... დღეს გამოღვიძებული საზოგადოება უკვე ზიზღს უთვლის მათ საჯაროდ და მეც სრულის თანაგრძნობით ვუერთდები...

დიმიტრი დიასამიძე.

წერილები

ძ. თელავი. 25 ივლისს ქალაქის რწმუნებულთა არჩევანები უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა, რადგან დამატებით ამომრჩეველთა სია გვიან მიუღია გუბერნატორს და დროზე ვერ მოუსწრია დამტკიცებამდე დაბრუნება. არჩევნები, ალბად, ამ ერთისა თუ ორის თვის განმავლობაში მოხდება. წინად ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, არავის ეინტერესებოდა ქალაქის საქმეები და, ასე განჯეთ, ამისთვის წასვლა ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვად მიაჩნდათ. მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, ასე აღარ იქნება, ვინაიდან ყველამ კარგად დაინახა მამების უზრუნველობა. არც წინად იყვნენ თელავის მცხოვრებნი ქალაქის რწმუნებულთა მადლიერნი და ამ ბოლო დროს ხომ უკმაყოფილება უფრო გაიზარდა. ყველამ დაინახა, რომ თელავს პატრონობა აკლია და ეხლანდელი ხმოსნები მარტო სახელით არიან, თორემ საქმით ვერაფერს აკეთებენ. ვისაც თვალყური უდევნებია რწმუნებულთა სხდომებისათვის, ის ადვილად შენიშნავდა, როგორ გულმოდგინედ ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას. ჯერ ერთი—სხდომები ძლივ-ძლიობით, ორ-სამჯერ დანიშვნას შემდეგ სდგებოდა, ისიც, თუ განგებ კაცს დაატარებდნენ და მაშინაც მომეტებულ ნაწილად სდუმდნენ, მხოლოდ საქმეები სწყდებოდა, ოქმები იწერებოდა და, რასაკვირველია, ყველა გადაწყვეტილ საქმე განისვენებდა თვითმმართველობის საქმეთა წიაღსა შინა. რაც თელავში თვითმმართველობა შემოიღეს, მეორედ იცვლებიან რწმუნებულნი, მხოლოდ მამასახლისი არ გამოცვლილა, ისევ ბ-ნი თათუზოვია. ამ ხნის განმავლობაში თელავს თვალსაჩინო არაფერი მომატებია, არაფერი გაკეთებულა მცხოვრებთა საკეთილ-დღეოდ. როგორცა ვსთქვი, ოქმები-კი იწერება, მაგრამ საქმით არა სრულდება და არც არავინ ატანს ძალას. თუ ჩვენ „მუნიციპალიტეტს“ გაუკეთებია რამე, სამაგიეროდ ათი და მეტი იმოდენა გაუფუჭებია. მოვიგონოთ დუქნების აშენება რიყეში; ამის მიზეზით რამდენი ზარალი მოსდის ახლო-მახლო მცხოვრებთ, მამულის პატრონთ და ადამიანიც მსხვერპლად ეწირება. მგონი, ამავე მიზეზით ველარც ხიდს აკეთებენ, თუმცა ესეც ქაღალდით გადაწყვეტილია და ფულიც გადადებულია. ამბულატორიაც ხომ გვქონდა თელაველებს, მაგრამ ესეც გაჰქრა, ვითარცა შარშანდელი თოვლი. საქალაქო სახაბაზოცა გვაქვს, ეს ჯერ არ აღგვილა პირისაგან დედამიწისა, მაგრამ არაფერი სარგებლობა არ მოაქვს და, მგონი, ქალაქს მარტო ზარალით ემსახურება. გავიხსენიოთ ქუჩების მოუწყობლობა, განათება, თელავის ანტი-სანიტარული მხარე და სხვა და ადვილი გასაგებია, რად მოელოდებიან მცხოვრებნი მომავალ არჩევნებს.

თუმცა ეხლავე უნდა ვსთქვა, რომ მომავალი არჩევნები ვერ გამოსცვლის ჩვენ მუნიციპალიტეტს. ამომრჩეველთა სიაში ისეთნი არიან, რომელთა შორისაც ნაკლებად მოიპოვებიან შესაფერი პირნი. მართალია, თელავში მოიპოვება ინტელიგენცია, მაგრამ ამათ კიდევ, გადასახადი შეუტანლობის გამო, ცენზი არა აქვთ და მომეტებული მათგანი (სულ ქართველობა) სცხოვრობს კურდღელაურის ეგრედ წოდებულ „დაჩა“-ში. აი, სწორედ ამ მიზეზით თელავის მუნიციპალიტეტი წინააღუდგა ამ ნაწილის შემოერთებას. თუმცა ასეა, მაგრამ. იმედია, ამომრჩეველნი წინდაწინვე მოემზადებიან და ისე თვალდახუჭულნი არ ჩაუგდებენ ქალაქის სვე-ბედს ისეთ პირთ, როგორნიც ეხლა არიან.

დიმიტრაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 ივლისი

პორტ-სმუტი, 29 ივლისი. საზოგადოდ, რუსის რწმუნებულების აზრით, იაპონელების მიერ წამოყენებულ პირობების, გარდა ორ პრინციპიალურ პუნქტისა, რომლებზედაც ვიტტეს, თავის ინსტრუქციის ძალით არ შეუძლიან დაეთანხმოს, სახელდობრ საზღვაო ძალთა განსაზღვრა, იაპონელებისთვის თევზაობაზე ნების დართვა, მიღება შეუძლებელია.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი (რეიტერი). რუსის რწმუნებულნი, როგორც ამბობენ, დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის პირობები, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯის ანაზღაურება, ტერიტორიის დათმობა და რუსის საზღვაო ძალების განსაზღვრა შორეულ-აღმოსავლეთში ყოვლად შეუძლებელია მისაღებად. ეჭვს გარეშეა, რომ ამ მოთხოვნებზე უარს იტყვიან რუსები. მაგრამ ეს გარემოება არ მოუღებს ბოლოს რწმუნებულთა მოლაპარაკებას. ჰფიქრობენ, რომ იაპონელების პასუხი რუსების პასუხზე ფაქტიური ულტიმატუმი იქნებაო. ამ საბოლოო პასუხში აღნუსხული იქნება მათი მოთხოვნების მინიმუმი. თუმცა იაპონელებს არ უხსენებიათ თავიანთ მოთხოვნებში ჯამი სამხედრო ხარჯისა, მაგრამ, ცნობილია, რომ ჯერ-ჯერობით გამოანგარიშებული აქვთ 6,500,000,000 დოლლარი. რუსების პასუხი ხვალ, დილის ათის ნახევარ საათზე ჩაბარდება კომურას, რაც აფიციალურად აუწყა ვიტტემ მას. ამავე დროს იაპონიის დელეგატები უნდა შეიკრიბონ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. „ნიუიორკ-ჰერალდ“-ის აზრით იაპონელებმა ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ, თუ იგინი მიიღო რუსეთმა, იაპონია იმ შემთხვევაში ბატონი გახდება შორეულ-აღმოსავლეთის სამხედრო საქმისა და ვაჭრობისაო. იაპონიას, ეტყობა, განზრახვა აქვს განაგებდეს არა მარტო კორეიასა და მანჯურიას, არამედ ჩინეთსაც.

პორტ-სმუტი, 29 ივლისი (რეიტ.) სატომ უარი სთქვა ეცნო, რომ იაპონელებმა ახალი დადგენილება შეიტანეს რწმუნების ქაღალდებშიო. სატოს სიტყვით საქმე ისეა, როგორც გუშინდელ ოფიციალურ ცნობებში იყო მოხსენებულიო. ზავის პირობების გამოქვეყნების საკითხმა ძლიერ გააბრაზა იაპონელების რწმუნებულნი. ერთმა მათგანმა სარკასტიულად შენიშნა, ჩვენ გვეგონა ზავის საკითხებს [illegible] გავარჩევდით და არა გაზეთების ფურცლებზეო.

პეტერბურგი, 29 ივლისი. 19, 21, 23, 25 და 26 ივლისს ბჭობა ჰქონდათ ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით ხალხის წარმომადგენლების მოწვევაზე. ხელმწიფემ, აღძრულ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ, ბრძანა შესწორებული კანონ-პროექტი წარუდგინონ მას დასამტკიცებლად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 ივლისი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები 29 ივლისს არ მოსულა შორეულ აღმოსავლეთიდან.

შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროებმა პრინციპიალურად წინდაწინ გადასწყვიტეს საკითხი 1890 წ. 15 მაისის კანონი უფასო სამკითხველოებისა და მათთვის ყურის-გდების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას სამინისტრო ვერ დადგა, ვინაიდან უწ. სინოდის ობერ-პროკურორის აზრი არ მოსულა ამ საქმის შესახებ.

ადესა. უცნობმა ახალგაზდა კაცმა შუაგულ ქალაქში დაიჭირა ეტლი და მიანდო, ვოკზალზე წაეღო კალათი მეეტლემ რამდენიმე ხანს იცადა ვოკზალზე და მერმე პოლიციაში წაიღო კალათი, რომელშიაც აღმოჩნდა ცხვირსახოცით დახრჩობილი ახალ-გაზდა ქალის გვამი; არ იციან ვინ არის ეს ქალი. ზომები მიიღეს მკვლელის აღმოსაჩენად.

ბელოსტოკი. რეალურ სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლები პეტიციას აძლევენ მზრუნველს სალმრთო სჯულის სამშობლო ენაზე სწავლებისა და საშაგირდო წიგნთსაცავებში ებრაულისა, პოლონურისა და ერმანულ წიგნების ქონის შესახებ; ითხოვენ აგრეთვე პროცენტიან მიღების მოსპობას.

ტოკიო. აქედან განუწყვეტლივ ჰგზავნიან ჯარებს ომის ასპარეზზე.

სოფია პორტამ ნოტით მოსთხოვა ბულგარიას, პოლიციამ თვალ-ყური ადევნოს ზოგიერთ სომეხს ბულგარეთში, ზოგი კი დაატუსაღეთ და გადმოგვეცით, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობამ იცის, რომ ზემოხსენებული სომხები მონაწილენი არიან სულთანის მოკვლის განზრახვისაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება [illegible] მამულებისა, [illegible] გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგის ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტილნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, [illegible]. (30—17)

ბებია ქალი

ოფიო ილიას ასული გელბორდტ ლოკში

დავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—12)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30--22)

ფრიად საინტერესო და საყურადღებო

ახალი რომანი

„ცხოვრება და სიყვარული“

ავტორის სურათით, წინასიტყვაობით: მოკლე, ბიოგრაფიულ და საპასუხო კრიტიკულ [illegible] წერილით ბ. ფ. გოგიჩაიშვილის [illegible]. წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილი [illegible] სუფთათ, მაგრად შეკერილი, შეიცავს 120 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქ ვე იყიდება „ლექსები და პოემები“ და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან: „ვარინკას ამბავი“. თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზი. აგრეთვე 1902, 1903 და 1904 სრული წლების „ცნ. ფურცელი“ ყდაში მიცემულის დამატებით და შინაარსის აღწერით. თითო წლის მხოლოდ 4 მანეთი. შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიჰმართონ სადგურ მიხაილოვში ბათუმის მხრივ ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Михайлово, кас. Чархишвили. (2—2)

ტფილისის აკეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლებ-კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდი, სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—18)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავად ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(წდ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ნამდვილი

მაისის ბალზამი

ს.-პეტერბურგში **ობუხოვის ხიდთან** ისევ ისყიდება; ეხლა გადატანილია საკუთარ სახლში, პირდაპირ, **ობუხოვის ხიდი 111—15, ბინა—12 მხოლოდ** ელენე იაკობის ასულთან კოროსტოვცევასთან, ქმრით სეჩენი.

გამოგზავნა ფას დადებით. ერთი ბანკა გაგზავნით ღირს 1 მ. 40 კ., 12—ბანკა—12 მან., 6 ბანკა—6 მან., პატარა 50 კ., 1 ბანკა 1 მ. 25 კ., 10 ბანკა—8 მ. 95 კაპ. (მც. 3—3)

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლს, [illegible] ყოველგვარ [illegible], სიყვითლესა და კანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების, საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია. **ოქროს მედალი, ლონდონში 1903 წელს.**

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (მც. 14—8)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა ([illegible]), 5) ფინანსურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანეთი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ზ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—6) ალ. ზ. საათაშვილი.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებათ ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე [illegible]-მაღალები და სანდლიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის

საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვე მრავლად

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—6.—59)

[illegible] 30 [illegible] 1905 [illegible]

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა